ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№36. 362418317
თარიღი:01/07/2024

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ასკანის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ არანაკლებ 5% ამომრჩევლის შემადგენლობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 26 ივნისს *განცხადებით N19/3624178128-36 მომართეს ასკანის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი მზიანი) მცხოვრებლებმა კუკური კიღურაძემ, კობა კიღურაძემ, ალექსანდრე კიღურაძემ , რომლებმაც მოითხოვეს ასკანის ადმინისტრაციულ ერთეულში დასახლების საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაცია, წარმოდგენილი განცხადების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ის შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 85^4 მუხლის მოთხოვნებს და საინიციატივო ჯგუფი ექვემდებარება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაციას.*

გამომდინარე აქედან, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, 85^4 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების და „დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 06 აპრილი N11 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში დარეგისტრირდეს ასკანის (სოფელი მზიანი) ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული სამი ამომრჩევლის : კუკური კიღურაძის (პ/ნ კობა კიღურაძის(პ/ნ ალექსანდრე კიღურაძის (პ/ნ შემადგენლობით შექმნილი საიხიციატივო ჯგუფი.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე მოამზადოს საინიციატივო ჯგუფზე ინიციატივის რეგისტრაციის ცნობა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

ავთანდილ თალაკვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

სოფელ მზიანის

საერთო კრება

გამართვის ადგილი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მზიანი
რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა: 194

დღის წესრიგი

30 წთ.	საერთო კრების წევრთა რეგისტრაცია
30 წთ	საერთო კრების ორგანიზატორთა მისალმება და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობა
30 წთ	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მონიტორინგის ანგარიშის გაცნობა
1 სთ	სოფლისთვის პრიორიტეტულ საკითხების შერჩევა
30 წთ	კენჭისყრა სოფლისთვის პრიორიტეტული საკითხის გამოსავლენად
30 წთ	საერთო კრების დახურვა, შემაჯამებელი ოქმის გაცნობა და შემდგომ სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება.
1 სთ	ვახშამი